

ქრისტიანული თეოლოგიის
კლასიკური ცენტრი

ზურაბ კვიციანი • მერაბ ლაღანიძე
წიგნი

271.2 + 272
5 499

ზურაბ კვიციანი
მერაბ ლაღანიძე

განსაკუთრებული საყოველთაოში



ზურაბ კვიციანი
(1933)
ლიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მერაბ ლაღანიძე
(1961)
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი



ელზან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

ქრისტეანული თეოლოგიის
საქართველოს
სკოლა

ზურაბ კიკნაძე
მერაბ ლალანიძე

განსაკუთრებული საყოველთაოში



 სულხან საბა ორბელიანის
სასწავლო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა "საბა"
SULKHAN SABA ORBELIANI TEACHING
UNIVERSITY LIBRARY "SABA"

თბილისი
სულხან-საბა ორბელიანის
სასწავლო უნივერსიტეტი

2014

Zurab Kiknadze
Merab Ghaghanidze

Particular in Universal

ISBN 978-9941-0-7036-5

© ზურაბ კიკნაძე, 2014
© მერაბ ლალანიძე, 2014

სარჩევი

ზურაბ კიკნაძე სახალხო	7
ზურაბ ლალანიძე — ზურაბ კიკნაძეს მედიოკრიკული შეკითხვები “მძიმე შეცოდების” გამო	13
ზურაბ კიკნაძე — მერაბ ლალანიძეს დაბრუნება თუ გადასვლა?	23
ზურაბ ლალანიძე — ზურაბ კიკნაძეს ახალი კათოლიკეობისა და ეროვნულობის გამო	33
ზურაბ კიკნაძე — მერაბ ლალანიძეს კვლავ დაბრუნების თუ გადასვლის თაობაზე	45
ზურაბ ლალანიძე — ზურაბ კიკნაძეს კანონისა და ეროვნული წესის ქრისტიანთა გამო განხილვის თაობაზე და განყოფილებაში	57
ზურაბ კიკნაძე — მერაბ ლალანიძეს მრავალი ერთი გვაქვს და ორივენი კათოლიკენი ვართ	67
ზურაბ ლალანიძე — ზურაბ კიკნაძეს აპოკრიფალია თუ ადგილობრივი ეკლესია?	79

8	ზურაბ კვიციანი — მერაბ ლაღანიძეს ორი დინება, ორი ნაპირი	93
9	მერაბ ლაღანიძე — ზურაბ კვიციანის ეკლესიის მისია და ეროვნული ეკლესია	105
10	ზურაბ კვიციანი — მერაბ ლაღანიძეს ეროვნულში გაცხადებული უნივერსალურობა	119
11	მერაბ ლაღანიძე — ზურაბ კვიციანის ამჟამინდელი დამშვიდობება მომავალი ერთიანობის იმედით	131
12	ზურაბ კვიციანი — მერაბ ლაღანიძეს “ჩვენი მიწიერი ტიხრები ცამდე ვერ აღწევს”	143
	მერაბ ლაღანიძე ბოლოქმა	157
	დანართი ზურაბ კვიციანი — მერაბ ლაღანიძე მითოსი: გუშინ, დღეს და მარად?	161
	ბიბლიოგრაფიული მითითებანი	177
	პირთა საძიებელი	179
	ადგილთა საძიებელი	183

წინათქმა

ამ წიგნის სათაურში პოზიტიური წინადადებით, როგორც დებულებით, უდავო ჭეშმარიტებაა გაცხადებული – თუ საყოველთაო, ანუ უნივერსალური არ შეიცავს კერძობითს, განსაკუთრებულს, საკუთრივს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საყოველთაოს არ შეუღწევია ადამიანის ცნობიერებასა და ყოფიერებაში. ის საყოველთაო და უნივერსალური მოძღვრება კი, რომლის გარშემო ჩვენი დიალოგი წარიმართა, შეიქმნა საკუთრივ ადამიანისთვის “უწინარეს ყოველთა საუკუნეთა”, ანუ მას მარადიული ღირებულება აქვს. თუ დავსვამთ კითხვას, სად ცოცხლებს, სად იძენს ცხოველმყოფელობას ესოდენ ამაღლებული ხარება, ვუპასუხებთ: მის ყოველ კონკრეტულ გამოვლინებაში. როცა საყოველთაო დაეშვება მაღალი სფეროებიდან, ის კერძო სახეს იღებს. სამების მეორე წევრი თუ განკაცდა, მისი განკაცების ადგილი, რასა, ეთნოსი, კულტურული გარემოცვა იმთავითვე განისაზღვრა, როგორც კერძობითი, განსაკუთრებული. მარადიული ძე ღვთისა გახდა ძე კაცისა ყველა ზოგადი და კერძობითი ადამიანური თვისებებით დაწყებული და ეროვნულობით დამთავრებული. ძე კაცისამ ხორცი შეისხა და ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ საყოველთაომ განსაკუთრებულში კპოვა ბინა. ძე კაცისა, კონკრეტული ადამიანი იესო ქრისტე, ძე მარიამისა, გალილეველი, შობილი ბეთლემში, ეგვიპტეში ლტოლვილი, დაბრუნებული, ნათელღებული იორდანეში, მოქადაგე, ათორმეტის მოძღვარი, ცილდაწამებილი, დევნილი, გაცემული, შეპყრობილი, განსჯილი, ნაგვემი და დასჯილი ჯვარცმით, საფლავს დადებული, აღმდგარი და ამაღლებული მოწაფეთა თვალწინ... ეს მისი კერძო განსაკუთრებული ცხოვრებაა, მაგრამ უხილავად ის შეიცავს საყოველთაოს, რომელსაც პოტენციურად, შესაძლებლობაში, ზიარებულია ყოველი ადამიანი. და არაფერია ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაში ისეთი, რომელიც ადამიანს ოდესმე თავს არ გადახდომოდეს.